

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის, ეკონომიკური საკითხებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომის

ოქმი N2

ქ.ვანი

25 დეკემბერი 2017 წელი

სხდომას თავმჯდომარეობდა ქონების მართვის, ეკონომიკური საკითხებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე გიგა გოგიბერიძე.

სხდომას ესწრებოდნენ: გიგა გოგიბერიძე, დავით ხარძეიშვილი, შოთა გიორგაძე, ალექსანდრე ოქროპილაშვილი, გია ხარაბაძე, პაატა ხურციძე, რობიზონ ფუტყარაძე, დავით ადვიშვილი, გია ოჩხიკიძე, სანდრო ხურციძე, აპოლონ რამიშვილი.

საკრებულოს აპარატის საორგანიზციო განყოფილების მთვარი სპეციალისტი საოქმო წარმოების საკითხებში - ლუბა კიკაბიძე.

საპატიო მიზეზის გამო სხდომას არ ესწრებოდნენ: ბიჭიკო პაიკიძე, მალხაზ ცერცვაძე

მოწვეული სტუმარი: ბადრი ფირანაშვილი - ვანის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ კომუნალური გაერთიანების სპეციალისტი; ვანის მუნიციპალიტეტის მუნიციპალური ნარჩენების მართვის სამუშაო ჯგუფის წევრი.

დასწრების ფურცელი თან ერთვის /დანართი N1/.

სხდომა გახსნა ქონების მართვის, ეკონომიკური საკითხების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ, რომელმაც დასამტკიცებლად წარადგინა სხდომის

დღის წესრიგი

1. ვანის მუნიციპალიტეტის მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის დამტკიცების შესახებ (2018-2022წწ.)

/მომხსენებელი: გ.გოგიბერიძე/

2. ვანის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის განხილვა.

/მომხსენებელი: გ. გოგიბერიძე/

კომისიის წევრებმა კენჭი უყარეს და დაამტკიცეს სხდომის დღის წერიცი

მომხრე - 11
წინააღმდეგი - არცერთი

დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა სიტყვა გადასცა ვანის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ კომუნალური გაერთიანების სპეციალისტს ბატონ ბადრი ფირანაშვილს, რომელმაც ისაუბრა ვანის მუნიციპალიტეტის მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის შესახებ და განმარტა, რომ მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის შემუშავებისათვის გამოყენებული იქნა მეთოდოლოგია, რომელიც შემუშავებული იქნა პროექტის „ნარჩენების მართვის ტექნოლოგიები რეგიონებში“ ფარგლებში და რეკომენდებულია საქართველოს მუნიციპალიტეტისათვის ნარჩენების მართვის სამოქმედო გეგმის შემუშავებისათვის.

ნარჩენების მართვის 5 წლიანი გეგმა არის შემუშავებული. ამასთან დაკავშირებით ჩვენ ქ. ქუთაისში ჩაგვიტარდა ტრენინგი უცხოელების ხელმძღვანელობით.

2019 წელში იგეგმება ნარჩენების გადამამუშავებელი ქარხნის მშენებლობა. დღეის მონაცემებით ჩვენს რაიონში 30 ათასამდე ტონა ნარჩენები გროვდება მთელი წლის მანძილზე. ასევე მნიშვნელოვანია ის რომ სეპარირებულად მოხდეს ნარჩენების დახარისხება, ეს იმას ნიშნავს, რომ ცალ-ცალკე უნდა გადაირჩეს ნარჩენები, მაგ: პლასტმასები ერთად, შუშები ერთად და ა.შ.

კომისიის თავმჯდომარემ და წევრებმა აღნიშნეს, რომ თუ ასეთი წესრიგი დამყარდება ჩვენს რაიონში მისასალმებელი იქნება ყველასთვის. ძალიან კარგი იქნება კიდევ თუ გაიზრდება ნაგვის ურნების რაოდენობა.

ასევე ბატონმა ბადრიმ აღნიშნა, რომ ნარჩენების შეგროვება-გატანის მომსახურებით მოცულია ქალაქ ვანის მთელი ტერიტორიისა და მოსახლეობის 80%. ამისთვის გამოიყენება კონტეინერული სისტემა ნარჩენების გატანა კონტეინერული მომსახურებით ხორციელდება კვირაში 4 დღე.

კომისიის თავმჯდომარემ და წევრებმა მოიწონეს აღნიშნული საკითხი:

მომხრე - 11
წინააღმდეგი - არცერთი

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეორე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა კომისიის წევრებს ესაუბრა ვანის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის შესახებ. კომისიის წევრების მხრიდან იყო შენიშვნები და მოსაზრებები. კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა რომ აღნიშნულ საკითხზე უფრო სიღრმისეულად ვისაუბრებთ საკრებულოს სხდომაზე.

მომხრე -11
წინააღმდეგი - არცერთი

კომისიის გადაწყვეტილებით დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხები მოწონებულია კომისიის მიერ და საკითხი მზად არის საკრებულოს სხდომაზე დასატანად.

კომისიის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

გიგა გოგობერიძე

ქონების მართვის, ეკონომიკური საკითხების

და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე